



# პოლიტიკის დოკუმენტი N2023/09

## საქართველოს ბიომრავალფეროვნება: ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა

დეკემბერი, 2023

ავტორები:  
სალომე ბელაშვილი  
ერეკლე შუბითიძე

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი არის ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვედეთის პოზიციას.

## შესავალი

ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის განმარტების თანახმად, ბიომრავალფეროვნება გულისხმობს „ყველა სახეობის ცოცხალი ორგანიზმის, მათ შორის, ხმელეთზე, ზღვებსა და წყლის სხვა ეკოსისტემებსა თუ ეკოლოგიურ კომპლექსებში მაცხოვრებელი ცოცხალი ორგანიზმების ცვალებადობას; ის ასევე მოიცავს მრავალფეროვნებას სახეობებში, სახეობებს შორის და ეკოსისტემებში“. ზოგადად კი, კონვენცია ეხება არსებული ეკოსისტემებისა და დედამიწაზე არსებული ცოცხალი ორგანიზმების მრავალფეროვნებას.

ბიომრავალფეროვნების დაცვა გადამწყვეტ როლს თამაშობს პლანეტის ეკოლოგიის შენარჩუნებაში და ყველა სახეობის ცოცხალ არსებათა, მათ შორის, ადამიანთა კეთილდღეობაში. ბიომრავალფეროვნების დაცვა მნიშვნელოვანია ეკოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული და ეთიკური მიზნების მისაღწევად იმდენად, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს ეკოსისტემების მდგრადობას და სარგებლის მომტანია არამხოლოდ არსებული, არამედ მომავალი თაობებისათვისაც. ბიომრავალფეროვნების დაცვა გლობალური ვალდებულებაა და გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მდგრადი განვითარებისათვის.

საქართველო, რომელიც კავკასიის ეკო-კორიდორში მდებარეობს, ბუნების მსოფლიო ფონდის მიერ აღიარებული 35 პრიორიტეტული ზონიდან ერთ-ერთია და მოიცავს მსოფლიოში 34 აღიარებული „ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილებიდან“ ორს: კავკასიასა და ირანი-ანატოლიის ცხელ წერტილებს<sup>1</sup>. სამხრეთ კავკასიის მთიან რეგიონში მდებარე საქართველო გამოირჩევა განსაკუთრებული ბიომრავალფეროვნებით, მრავალი ენდემური სახეობით, იშვიათი ჰაბიტატებითა და მრავალფეროვანი ეკოსისტემებით.

ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის საქართველოს მეექვსე ეროვნული ანგარიშის (2014-2018 წწ.) თანახმად, საქართველოს ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის ზუსტი შეფასება რთულია, რადგან ეკოსისტემის პირობების, ჰაბიტატებისა და სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმის სახეობების შესახებ მონაცემები სისტემატურად არ შეგროვებულა. ამას ემატება ეროვნული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის გაუმართავი ფუნქციონირება, რის შედეგადაც მოსალოდნელია, რომ ენდემური მცენარეების 60%-ს საფრთხე დაემუქროს, რაც გარემო პირობების დარღვევით, რესურსების გადაჭარბებული მოხმარებით, პათოგენური და სხვა ფაქტორებით შეიძლება იყოს გამოწვეული. უხერხემლოთა მრავალ ჯგუფზე უარყოფით გავლენას ახდენს მათ ბუნებრივ ან ნახევრად ბუნებრივ საცხოვრებელ გარემო პირობებში შეჭრა და, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების მასშტაბების ზრდა. საქართველოს ტყეებმა მნიშვნელოვანი დეგრადაცია განიცადა, რაც გამოწვეულია

<sup>1</sup> საქართველოს მეხუთე ეროვნული ანგარიში ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი. 2015. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

არამდგრადი გაჩეხვის პრაქტიკით, გადამოვებით და არასათანადო მართვით. საქართველოს ჭაობებში მოზინადრე ცოცხალი ორგანიზმებისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს დაბინძურებაც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული მრავალი საერთაშორისო კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოა, საზოგადოებაში ცნობიერების დონე ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობასთან დაკავშირებით კვლავ დაბალია. ბიოლოგიური მრავალფეროვნების მნიშვნელობა სათანადოდ ხაზგასმული არ არის სახელმწიფო პოლიტიკაში, სტრატეგიებსა და პროგრამებში<sup>2</sup>. ქვეყანა განიცდის იმ რესურსების ნაკლებობას, რომლებიც ხელს შეუწყობდა ბიომრავალფეროვნების დაცვისკენ მიმართული რეგულაციებისა და პროცედურების აღსრულებას<sup>3</sup>.

ამ მიმოხილვის მიზანია ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის წარმოჩენა, მისი ამჟამინდელი მდგომარეობისა და საფრთხეების შეფასება და ისეთი რეკომენდაციების გაცემა, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში ბიომრავალფეროვნების დაცვას.

## პოლიტიკის კონტექსტი

საქართველო არის ბიომრავალფეროვნების შესახებ მრავალი საერთაშორისო კონვენციის, მათ შორის, ბერნის კონვენციის, წევრი<sup>4</sup>, რომელიც არეგულირებს სახეობების შენარჩუნებას მათი ექსპლუატაციის შეზღუდვით და მათი არსებობისათვის სათანადო გარემოს დაცვით. 1994 წელს ქვეყანა ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციას<sup>5</sup> (CBD), 1997 წელს კი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციას (CITES)<sup>6</sup> შეუერთდა. აღნიშნული კონვენციების მიზანი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვა და ბიომრავალფეროვნების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობაა.

როგორც საერთაშორისო კონვენციების წევრი ქვეყანა, ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში<sup>7</sup>, საქართველო ვალდებულია, ქვეყნის კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს. ასოცირების შესახებ შეთანხმების

<sup>2</sup> ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის საქართველოს მეექვსე ეროვნული ანგარიში, 2014–2018. 2020. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. წყარო: <https://www.cbd.int/doc/nr/nr-06/ge-nr-06-en.pdf>

<sup>3</sup> Ibid

<sup>4</sup> ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია. ბერნი, 1979. წყარო: <https://rm.coe.int/1680479eb9>

<sup>5</sup> კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ. 2023 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით. წყარო: <https://www.cbd.int/doc/legal/cbd-en.pdf>

<sup>6</sup> გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია. 2023 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით. წყარო: <https://cites.org/eng>

<sup>7</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. 2023 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით. წყარო: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830%2802%29>

ფარგლებში, საქართველო „აღიარებს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მისი მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფის აუცილებლობას“. საქართველო, აგრეთვე, გამოთქვამს მზადყოფნას, უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ბიომრავალფეროვნების მდგრადი გამოყენება ბიომრავალფეროვნების კონვენციისა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებათა შესაბამისად, რომელთა მხარესაც იგი წარმოადგენს.

ბიომრავალფეროვნების საკითხის პოლიტიკის დღის წესრიგში ინტეგრირების მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჯერ კიდევ 2014 წელს შეიმუშავა 2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც სტრატეგიულ მიზნებთან ერთად ჩამოთვლილია ბიომრავალფეროვნების დაცვის 20 ეროვნული მიზანი<sup>8</sup>. აღნიშნული სტრატეგიული მიზნები მოიცავს: ა) ბიომრავალფეროვნების კარგვის გამომწვევი ძირეული მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლას სამთავრობო სტრუქტურებისა და საზოგადოების საქმიანობაში ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტეგრირების გზით; ბ) ბიომრავალფეროვნებაზე პირდაპირი ზეწოლის შემცირებას და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობას; გ) ბიომრავალფეროვნების სტატუსის გაუმჯობესებას ეკოსისტემური, სახეობრივი და გენეტიკური მრავალფეროვნების დაცვის გზით; დ) ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისებისგან მიღებული სარგებლის გაზრდას; და ე) განხორციელების გაუმჯობესებას თანამონაწილეობითი დაგეგმვის, ცოდნის მენეჯმენტისა და შესაძლებლობების გაძლიერების გზით<sup>9</sup>.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, ეროვნულ ანგარიშებში ფიქსირდება, რომ ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის საკითხში საქართველომ პროგრესი აჩვენა. ამ დარგში ბოლო სიახლე იყო საქართველოს მეექვსე ეროვნული ანგარიში ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი (2014-2018წწ.), რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა და 2020 წელს წარადგინა. მეექვსე ეროვნული ანგარიში შეიცავს ეროვნული მიზნების, ძირითადი ღონისძიებების, ამ ღონისძიებების ეფექტურობის, ეროვნული და ბიომრავალფეროვნების აიჩი მიზნების (Aichi Biodiversity Target) თითოეული მიზნის მიღწევის თვალსაზრისით არსებული პროგრესის შესახებ ინფორმაციას<sup>10</sup>.

როგორც სტრატეგიები და ეროვნული ანგარიშები მოწმობს, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება კომპლექსური და მრავალმხრივი პროცესია და საქართველოც, სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, ცდილობს დააბალანსოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

<sup>8</sup> 2014-2020 წლების საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. წყარო: <https://faolex.fao.org/docs/pdf/geo158253.pdf>

<sup>9</sup> Ibid.

<sup>10</sup> ბიომრავალფეროვნების აიჩი მიზნები მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილ მიზნებს.

## საქართველოს ბუნებრივი რესურსების მარაგი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო მდიდარი ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 40% ტყითაა დაფარული, რომელიც, თავის მხრივ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია<sup>11</sup>. საქართველოს ტყეები არამარტო ადგილობრივი, არამედ რეგიონული და გლობალური მნიშვნელობის რესურსს წარმოადგენს. ეს ტყეები უნიკალური ბიომრავალფეროვნების მცველების ფუნქციას ასრულებს და, ამავდროულად, მუდმივად იძლევა მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სარგებელს პირდაპირი თუ ირიბი გზით.

საქართველოს ტყის კოდექსში საქართველოს ტყეები ოთხ ძირითად კატეგორიადაა დაყოფილი მათი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური როლის, ასევე, მართვის ძირითადი მიზნების მიხედვით:

1. დაცული ტყეები: ასეთი ტიპის ტყეების მთავარი დანიშნულებაა მათი ბიომრავალფეროვნებისა და იშვიათი ან/და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და მოწყვლადი ეკოსისტემების დაცვა;
2. დაცვითი ტყეები: ასეთი ტიპის ტყეების მთავარი დანიშნულებაა ტყის დაცვითი ფუნქციის (მარეგულირებელი ეკოსისტემური სერვისის) შენარჩუნება და გაძლიერება;
3. საკურორტო და სარეკრეაციო ტყეები: ასეთი ტიპის ტყეების მთავარი დანიშნულებაა ტყის რეკრეაციული ფუნქციის, ლანდშაფტისა და ბუნებრივი ელემენტების შენარჩუნება და გაუმჯობესება;
4. სამეურნეო ტყეები: ასეთი ტიპის ტყეების მთავარი დანიშნულებაა ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობა და ტყის დაცვითი ფუნქციის შენარჩუნება.

ტყეებში შესაძლებელია დაახლოებით 40 სხვადასხვა სახეობის ხისა და ბუჩქის ნახვა. კორომების და ტყის ფორმირებაზე პასუხისმგებელი პირველადი მერქნიანი სახეობების გავრცელების მაჩვენებელი კი შესაძლოა შემდეგნაირად გამოიხატოს: წიფელი (42.6%), მუხა (10.3%), რცხილა (10.3%), მურყანი (7.2%), ვერცხლისფერი ნაძვი (7.2%), აღმოსავლური ნაძვი (5%), ფიჭვი (4.2%), წაბლი (3.8%) და სხვ. (9.4%)<sup>12</sup>.

გარდა ამისა, **დაცული ტერიტორიები** მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა ეკოსისტემური სერვისის მიწოდების პროცესში, რომლებიც გადამწყვეტია ტყეთა ბიომრავალფეროვნებისათვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბუნების მსოფლიო ფონდმა (WWF) საქართველო განსაკუთრებული მნიშვნელობის ეკორეგიონად დაასახელა.

<sup>11</sup> საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. 2022. საქსტატი. წყარო:

[https://www.geostat.ge/media/58572/Garemo\\_2022\\_eng.pdf](https://www.geostat.ge/media/58572/Garemo_2022_eng.pdf)

<sup>12</sup> საქართველოს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების მარაგების მიმოხილვა. 2021. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი. წყარო: <https://iset-pi.ge/storage/media/other/2021-09-30/62eeb1c0-21c7-11ec-9ad0-11781c04cd19.pdf>



საქართველოში 14 ადკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, 12 ეროვნული პარკი, 23 სახელმწიფო ნაკრძალი და 40 ბუნების ძეგლია. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე მრავალი ცხოველი და ფრინველი ბინადრობს, მათ შორის, არჩვი, მურა დათვი, წითელი ირემი, რუხი მგელი, ნუტრია, ტურა, შველი, კლდის კაკაბი, შაშვი, ევრაზიული ჩხიკვი, ტყის ქათამი და სხვ<sup>13</sup>.

გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ ცხოველთა და ფრინველთა სახეობებს შორისაა არჩვი, მურა დათვი, წითელი ირემი, გარეთხა, ფოცხვერი, შველი, აღმოსავლეთკავკასიური (დადესტნური) ტურა, აღმოსავლური არწივი, ოქროს არწივი, სვავი, კავკასიური როჭო, კონდორი, შავი ყარყატი და კავკასიური შურთხი. ყველა ჩამოთვლილი სახეობა ქართულ წითელ წიგნშია შეტანილი. ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, 2016 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტომ ინტენსიური კვლევა დაიწყო მრავალი უნიკალური სახეობის შესახებ.

საქართველო წყლის რესურსების სიმრავლით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული რესურსები არ არის თანაბრად გადანაწილებული და დიდწილად ქვეყნის დასავლეთ ნაწილშია თავმოყრილი. საქართველოში მოედინება 26,060-ზე მეტი მდინარე, რომელთა საერთო სიგრძეც 59,000 კმ-ია, თუმცა მდინარეთა უმრავლესობა (99.4%) საკმაოდ მოკლეა (25 კმ-ზე ნაკლები სიგრძით). საქართველოში 860-მდე ტბაა, რომელთა უმეტესობაც ზედაპირის მცირე ფართობით გამოირჩევა; საქართველოში არსებული ტბების ზედაპირების საერთო ფართობი 170 კმ<sup>2</sup>-ს შეადგენს, რაც ქვეყნის ტერიტორიის 0.2%-ია. საერთო ჯამში, საქართველოში 44 წყალსაცავია, რომელთა საერთო ზედაპირის ფართობი 163 კმ<sup>2</sup>-ია, ხოლო მოცულობა – 3.3 მილიონი მ<sup>3</sup>. წყალსაცავები უმეტესწილად ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამოიყენება, თუმცა მათ სარწყავი, თევზჭერის და რეკრეაციული მიზნებისათვისაც იყენებენ. დადგინდა, რომ 2015 წელს საქართველოში 637 მყინვარი იყო, რომელთა საერთო ფართობი 355.8 კმ<sup>2</sup>-ს შეადგენდა<sup>14</sup>.

შავი ზღვა მდიდარია თევზის სხვადასხვა სახეობით. არსებული ინფორმაციით, 1980-იანი წლების დასაწყისში შავ ზღვაში თევზის 184 სხვადასხვა სახეობა და ქვესახეობა ბინადრობდა, მათგან 104 – საქართველოს სანაპირო ზოლში. თუმცა დროთა განმავლობაში თევზის სახეობების, აგრეთვე, თევზის საერთო რაოდენობა მცირდებოდა. მაგ., სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის 2006 წლის ინფორმაციის თანახმად, 21-ე საუკუნის დასაწყისში ამ რეგიონებში მხოლოდ 69 სახეობა დაფიქსირდა. ამავე წყაროს მიხედვით, 2006 წლისთვის შავ ზღვაში ყველაზე ხშირად აღმოჩენილი სახეობები იყო შავი ზღვის ანჩოუსი, შავი ზღვის ქარსალა, შავი ზღვის მერლანგი, ქიცვიანი ზვიგენი და შავი ზღვის ხონთქარა. მათ შორის ყველაზე მეტი იყო ანჩოუსი, რომლის საერთო რაოდენობაც 2004-05 წლებში 250,000 ტონით შეფასდა<sup>15</sup>.

<sup>13</sup> Ibid

<sup>14</sup> საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. 2022. საქსტატი. წყარო: [https://www.geostat.ge/media/58572/Garemo\\_2022\\_eng.pdf](https://www.geostat.ge/media/58572/Garemo_2022_eng.pdf)

<sup>15</sup> Ibid

## ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საფრთხეები

ბიომრავალფეროვნება ამჟამად სწრაფი ტემპით მცირდება, რაც, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზეწოლითაა განპირობებული<sup>16</sup>. ეს კი, თავის მხრივ, გამოწვეულია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, ასევე, კერძო სექტორისა და მთავრობის მიერ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციით. უფრო ფართო ჭრილში, ბიომრავალფეროვნების შემცირების ძირითადი მიზეზებია საცხოვრებელი გარემო პირობების განადგურება, კლიმატის ცვლილება, ჭარბი მოხმარება, უცხო სახეობების ინვაზია და გარემოს დაბინძურება.

დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის თანახმად, ბიომრავალფეროვნებას ძირითად საფრთხეს უქმნის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია<sup>17</sup>, რაც დამუშავებული მიწის ფართობის ზრდას გულისხმობს. ნიადაგის ინტენსიური დამუშავება და სასუქებისა და პესტიციდების ჭარბი გამოყენება საფრთხეს უქმნის ფლორასა და ფაუნას. სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს თესვისა და მოსავლის აღების პროცესი, რაც საფრთხეს უქმნის სხვადასხვა სახეობას და მათ გარემოს. აქვე უნდა აღინიშნოს ცხვრის გაზრდილი რაოდენობით გამოწვეული გადაძოვების საკითხიც, რაც გარემოს, განსაკუთრებით, ტორფიანი მიწის განადგურებას იწვევს.

ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებიც (მაგ.: გზების მშენებლობა) უარყოფითად მოქმედებს ბიომრავალფეროვნებაზე, ცვლის რა ეკოლოგიურ პირობებს, ანადგურებს ბუნებრივ გარემოს და იწვევს ლანდშაფტის ფრაგმენტაციას, რაც აუარესებს სახეობების საცხოვრებელ გარემო პირობებს და საფრთხეს უქმნის იმ სახეობებს, რომლებსაც საარსებოდ დიდი ფართობი სჭირდებათ ან ეწვეიან სეზონურ მიგრაციას<sup>18</sup>. ემისიების, ხმაურისა და მიკროკლიმატის ცვლილებების გამო, გარდა პირდაპირი გავლენისა, **ინფრასტრუქტურული პროექტები** არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს ლანდშაფტზეც.

**საქართველოში გავრცელებულია რესურსების ჭარბი ექსპლუატაცია**<sup>19</sup> – ჭარბი თევზჭერა, ბრაკონიერობა და უკანონო ნადირობა ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებით გამოწვეული რესურსების ამოწურვის ძირითადი ფაქტორია. ტყით სარგებლობის დადგენილი დასაშვები წლიური ზღვარი 600,000 მ<sup>3</sup>-ია, მაგრამ უკანასკნელი კვლევები გვიჩვენებს, რომ საშუალოდ 2,5 მლნ. მ<sup>3</sup> ხე გამოიყენება არასამრეწველო მიზნებისათვის, რაც რესურსების ამოწურვას და ჰაბიტატების განადგურებას იწვევს. უკანასკნელი კვლევების თანახმად, ხეების უმეტესობა სოციალური მიზეზებით მოიჭრა, რადგან სოფლის მოსახლეობა

<sup>16</sup> საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონპროექტის რეგულირების გავლენის შეფასება, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, 2018.

<sup>17</sup> Ibid

<sup>18</sup> Ibid

<sup>19</sup> Ibid

მათ შორის იყენებდა. უფრო მეტიც, Global Forest Watch-ის მონაცემების თანახმად, 2019 წელს მოჭრილი ხეების თითქმის 94% სოციალური მიზეზით მოიჭრა, ხოლო 6% – კომერციული მიზნით<sup>20</sup>. ყოველწლიურად ხეების დიდი რაოდენობა იკარგება უკანონო გაჩეხვის შედეგად; საქსტატის მონაცემებით, 2021 წელს თითქმის 12 ათასი მ<sup>3</sup> (ტყის ფონდის ფართობის 0.4%) უკანონოდ მოიჭრა<sup>21</sup>.

**კლიმატის ცვლილება**<sup>22</sup>, რომელიც იწვევს სტიქიურ უბედურებებს, განაპირობებს ბიომრავალფეროვნების შემცირებასაც. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მაღალი ტემპერატურისა და მცირე ნალექის გამო, საქართველოში გახშირდა ისეთი სტიქიური მოვლენები, როგორცაა, მაგალითად, ტყის ხანძარი. ეს უკანასკნელი სხვა სტიქიურ მოვლებებთან ერთად უარყოფით გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე.

გარდა ამისა, ქვეყანაში **ნარჩენების მართვის განუვითარებელი სისტემები**<sup>23</sup> განაპირობებს გარემოსა და მდინარეების დაბინძურებას, რაც იწვევს თევზების, ფრინველებისა და ძუძუმწოვრების სიკვდილიანობას, რაც, თავის მხრივ, ზიანს აყენებს ბიომრავალფეროვნებას და არსებულ ეკოსისტემას.

ბიომრავალფეროვნების შემცირების კიდევ ერთი მიზეზია **საზოგადოებაში ცნობიერების დაბალი დონე**<sup>24</sup>. ადამიანებს არ ესმით ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა, არ აქვთ გაცნობიერებული თავიანთი ქმედებების მავნე შედეგები და ამიტომ ვერ აფასებენ ბუნებრივი რესურსების ამოწურვის ან მათთვის ზიანის მიყენების შედეგებს. უკანასკნელი კვლევის – „საზოგადოების ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შეფასება ბიომრავალფეროვნებისა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით (საქართველო)“ – თანახმად, ცნობიერების დონე ბიომრავალფეროვნების შესახებ საქართველოში დაბალია და მოსახლეობამ არ იცის ქვეყანაში მოქმედი გარემოსდაცვითი ორგანიზაციების შესახებ. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად არ არის ჩართული ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ ინიციატივებში. საქართველოში გამოკითხულთა დაახლოებით 40%-ისთვის დასაქმება უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გარემოს დაცვა. გამოწვევაა გადაწყვეტილების მიმღებთა არასაკმარისი ინფორმირებულობაც, რადგან ისინი ხშირად უგულებელყოფენ ბიომრავალფეროვნებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

უფრო მეტიც, არ არსებობს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული, **მონაცემთა შეგროვებისა და მონიტორინგის** ერთიანი სისტემა. ბიომრავალფეროვნებაზე პასუხისმგებელ ეროვნულ სააგენტოებს შეიძლება მოეპოვებოდეთ ჩანაწერები გარკვეული სახეობებისა და

<sup>20</sup> Global Forest Watch. 2023. წყარო: <https://www.globalforestwatch.org/dashboards/country/GEO/?category=land-cover>

<sup>21</sup> საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. 2022. საქსტატი. წყარო: [https://www.geostat.ge/media/58572/Garemo\\_2022\\_eng.pdf](https://www.geostat.ge/media/58572/Garemo_2022_eng.pdf)

<sup>22</sup> საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონპროექტის რეგულირების გავლენის შეფასება, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, 2018.

<sup>23</sup> Ibid

<sup>24</sup> საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონპროექტის რეგულირების გავლენის შეფასება, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, 2018.



ეკოსისტემების შესახებ, მაგრამ მონიტორინგის პროცესი ხშირად არასრული და არარეგულარულია, რაც აფერხებს პოპულაციებში, ჰაბიტატებისა და ბიომრავალფეროვნების საერთო მდგომარეობაში ცვლილებების შეფასებას.

მონაცემთა მნიშვნელოვანი ნაწილი სისტემატურად არ გროვდება და ეყრდნობა მე-20 საუკუნეში მოპოვებულ მონაცემებს. მაგ., საქართველოს გეოთერმული ასოციაციის ცნობით, ქვეყნის რესურსების შესახებ ბოლო კვლევა 1970-იან წლებში ჩატარდა. ეს ეხება წყლის რესურსებსაც, სადაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ ძირითადი მდინარეები, ტბები და მყინვარები იქნა შესწავლილი. შესაბამისად, საქართველოში წყლის მთლიანი რესურსების შესახებ ცოდნა მწირია და არსებული რესურსების შეფასება მხოლოდ დაახლოებით არის შესაძლებელი.

რაც შეეხება სამთო მრეწველობას, აღნიშნული რესურსების შესახებ ბოლო კვლევა მე-20 საუკუნით თარიღდება. საქართველოში სასარგებლო წიაღისეულის ამჟამინდელი მარაგების შესახებ ინფორმაცია მიუწვდომელია, რადგან არ ხორციელდება რესურსების მოპოვების მონიტორინგი. მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, მას შემდეგ, რაც ისინი გასცემენ რესურსების მოპოვების ლიცენზიებს ფიზიკურ პირებსა და სუბიექტებზე, არ მოწმდება მოპოვების ფაქტობრივი პროცესის მიმდინარეობა და მოპოვებული რესურსების ზუსტი რაოდენობა. აქედან გამომდინარე, არსებობს საფრთხე, რომ ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებისა და გამოყენების პროცესმა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიომრავალფეროვნებაზე.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას ხელს უშლის როგორც **ადამიანური, ისე ფინანსური რესურსების ნაკლებობა**<sup>25</sup>. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზედამხედველობის დეპარტამენტში დასაქმებული კადრები არ არის საკმარისი. დეპარტამენტს არ ჰყავს დაცული ტერიტორიების ეფექტური მონიტორინგისათვის საჭირო რეინჯერები. არსებობს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კვალიფიციური პერსონალის დეფიციტიც, რაც იწვევს გადაწყვეტილების მიღებას და საზოგადოებისათვის არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდებას. გარდა ამისა, მწირია გადამზადების, რეინჯერების დაქირავებისა და ბიომრავალფეროვნების კომპლექსური მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი.

**კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციების არასათანადო აღსრულება**<sup>26</sup>, რაც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორც არასაკმარისი რესურსები და სუსტი პოლიტიკური ნებაა საქართველოს ხელისუფლებასა და პოლიტიკოსებს შორის. არასათანადო აღსრულების კონკრეტული

<sup>25</sup> საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონპროექტის რეგულირების გავლენის შეფასება, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, 2018.

<sup>26</sup> Ibid

მაგალითია საქართველოს სანაპირო ზოლის გასწვრივ გადამფრენ მტაცებელ ფრინველებზე გავრცელებული ნადირობა.

აქედან გამომდინარე, ბიომრავალფეროვნების შემცირება სხვადასხვა დამოუკიდებელი თუ ურთიერთდამოკიდებული მიზეზის შედეგია და მოითხოვს კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საჯარო სექტორის მიერ ქმედითი ნაბიჯების დაუყოვნებლივ გადადგმას.

## შედეგითი ნაბიჯები

საქართველოში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ეფექტური პოლიტიკის გასატარებლად აუცილებელია ყველა ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინება. ბიომრავალფეროვნების გადასარჩენად რეკომენდებულია შემდეგი ქმედებები:

**ბიომრავალფეროვნების შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და მონიტორინგის სისტემის შემოღებისა და მისი საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.** მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ დაიწყო ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის შემუშავება, OECD-ის (მდგომარეობის, ზეწოლისა და რეაგირების 26 ინდიკატორის საფუძველზე), სისტემა კვლავ დაუსრულებელია, ხოლო ინფორმაცია აღნიშნულ სფეროში არსებული პროგრესის შესახებ საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. აღნიშნული ინდიკატორების ზუსტი შეფასება სასარგებლო იქნება როგორც ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებით, ისე ამ საკითხში საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად.

**სხვადასხვა დაინტერესებული მხარის სტიმულირების მექანიზმების შემუშავება:** ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფინანსური, სოციალური და ეთიკური სტიმულების გამოყენებას<sup>27</sup>. შესაძლებელია ისეთი ფინანსური წახალისების შემოღება, როგორებიცაა: სუბსიდიები, კომპენსაცია და გადასახადებისგან გათავისუფლება. აღსანიშნავია, რომ კომპენსაცია/ეკოლოგიური სუბსიდიები ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტებია ევროკავშირის ქვეყნებში<sup>28</sup>. რაც შეეხება სოციალურ და ეთიკურ სტიმულებს, საინფორმაციო კამპანიები და საჯარო აღიარება არის კერძო პირებისთვის (მაგ. მიწის კერძო მესაკუთრე) არამატერიალური წახალისების მაგალითები იმისათვის, რომ მათ შეინარჩუნონ ბიომრავალფეროვნება თავიანთ საკუთრებაში<sup>29</sup>. ამგვარი სტიმულები ხელს უწყობს მიწის მესაკუთრეებს ბიომრავალფეროვნების რესურსების მდგრად მართვაში და უღვივებს მათ პასუხისმგებლობის გრძნობას. შეზღუდული სახელმწიფო ბიუჯეტის პირობებში, არამატერიალური სტიმულები საშუალებას აძლევს პოლიტიკის შემქმნელებს, წახალისონ მიწის კერძო მესაკუთრეები და, ამავდროულად, შეინარჩუნონ

<sup>27</sup> Ibid

<sup>28</sup> Ibid

<sup>29</sup> Ibid

ბიომრავალფეროვნება სახელმწიფო სუბსიდიების გაზრდის გარეშე. დაინტერესებულ მხარეთა წასახალისებლად, რომ დაიცვან ბიომრავალფეროვნება, შესაძლებელია წახალისების სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებაც.

**სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება:** ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება მოითხოვს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი კანონებისა და რეგულაციების დახვეწასა და აღსრულებას. ეს გულისხმობს ისეთი პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვასაც, რომელიც მოიაზრებს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნის ინტეგრაციას სხვა, უფრო ფართომასშტაბიან ეროვნული განვითარების გეგმებში.

**საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება:** მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ცნობიერების დონის ამაღლება ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის შესახებ საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების პროგრამების მეშვეობით. მოსახლეობაში პასუხისმგებლობისა და გარემოსდაცვის ვალდებულების გრძნობის გაღვივება შესაძლებელია საგანმანათლებლო სემინარებისა და შეხვედრების, პოდკასტების, ხელოვნებისა და შემოქმედებითი კონკურსების, სკოლის პროგრამაში ბიომრავალფეროვნების ინტეგრაციის, სათემო ღონისძიებებისა და სხვა მსგავსი საშუალებების მეშვეობით.

**მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა:** ეკოტურიზმთან დაკავშირებულ ინიციატივებს შეუძლია ხელი შეუწყოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. რეკომენდებულია ისეთი პრაქტიკის შემოღება, როგორცაა საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზება ტურისტებისათვის, რათა ისინი გაეცნონ ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და ინიციატივებს; მაგალითად, კარგი იქნება, ვიზიტორებს მიეცეთ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში: ხეების დარგვაში ან ველური ბუნების მონიტორინგში; საჭიროა მოხალისეთა პროგრამების ხელშეწყობაც, რომლებიც საშუალებას მისცემს ტურისტებს, უშუალო წვლილი შეიტანონ ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებულ პროექტებში ან საზოგადოებრივი განვითარების ინიციატივებში.

**სათემო ინიციატივების წახალისება:** ასეთი ინიციატივები გულისხმობს თემის უშუალო ჩართულობას ბუნებრივი რესურსების მართვასა და დაცვაში. ბუნებრივი რესურსების ერთობლივი მართვის გარდა, ასეთი ინიციატივების მაგალითებია თემში საგანმანათლებლო ღონისძიების ჩატარება ადგილობრივი ეკოსისტემებისა და ველური ბუნების შესახებ მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებით; შეგროვებული ინფორმაციის გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით; ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული პრიორიტეტების იდენტიფიცირება თემის წახალისება და დაჯილდოება კვლევისა და მონიტორინგში შეტანილი წვლილისათვის. მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ თემმა სარგებელი მიიღოს გაწეული ძალისხმევითვის.

**საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა:** საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია როგორც ცოდნის მიმოცვლის, ისე ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად საჭირო სახსრების მოსაზიდად. საერთაშორისო ორგანიზაციებთან,

არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა იძლევა გამოცდილების, რესურსების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების საშუალებას და აუმჯობესებს საერთაშორისო დაფინანსების მექანიზმებზე წვდომას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ფართომასშტაბიანი პროექტების მხარდასაჭერად.

ამ რეკომენდაციების განსახორციელებლად საჭიროა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის თანამშრომლობა, რათა შენარჩუნდეს ბიომრავალფეროვნება და ხელი შეეწყოს საქართველოს მდგრად განვითარებას.

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute

## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის ეკონომიკის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით წვლილი შეიტანოს ეკონომიკის, განათლების, დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

---

**ISET Policy Institute**

[www.iset-pi.ge](http://www.iset-pi.ge)

[iset-pi@iset.ge](mailto:iset-pi@iset.ge)

+995 322 507 177